საქართველოს
ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა

თარიღი: 1 მარტი, 2024 წელი

დრო: 17:00 - 19:00

შეხვედრის ადგილი: Zoom

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხობაძე - ეროვნული პლატფორმის თანათავმჯდომარე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები
2. ლაშა ტუღუში - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ლიბერალური აკადემია თბილისი
3. ეკა ციმაკურიძე - პირველი სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, დემოკრატიის ინდექსი საქართველო
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია ქალი და ბიზნესი
5. ზვიად ელიზიანი – მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი
6. რეზო გეთიაშვილი - მესამე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, კავკასიის გარემოსდაცვითი ორგანიზაციების ქსელი
7. ნუკრი ყველაშვილი - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ახალგაზრდული ალტერნატივა
8. მაკა ჯახუა - მეოთხე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, ასოციაცია და რადიო მწვანე ტალღა
9. ირინა ფუტკარაძე - მეხუთე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი
10. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკის განვითარების ცენტრი

11. ლია თოდუა - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
12. ქეთევან ცხაკაია - იმერეთის მხარის მეცნიერთა კავშირი ,,სპექტრი”
13. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
14. ქეთევან ჩაჩავა - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი
15. იულია ხარაშვილი - იძულებით გადაადგილებულ ქალთა ასოციაცია ”თანხმობა”

განსახილველი საკითხები:

1. 9 დათქმის შესრულების საკითხზე მსჯელობა და დოკუმენტების მომზადება
2. პოლიტიკური პარტიების პროგრამული ხედვები - პლატფორმის შეთავაზებების მომზადება
3. ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის შეხვედრის განსაზღვრა
4. პლატფორმის განცხადებაზე მსჯელობა სამოქალაქო სექტორთან დაკავშირებით
5. სხვა საკითხები

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა პლატფორმის თანათავმჯდომარე, ნინო ჩხობაძემ.

პოლიტიკური პარტიების პროგრამული ხედვები- პლატფორმის შეთავაზებების მომზადება.

საბჭოს შეხვედრაზე, პირველ საკითხად იმსჯელეს წინასაარჩევნო პერიოდის გათვალისწინებით, პოლიტიკური პარტიების პროგრამული ხედვების მნიშვნელობაზე. თანათავმჯდომარემ შესთავაზა საბჭოს წევრებს და შეხვედრაში მონაწილე პირებს, იდეა რომელიც უკავშირდება ჩარჩო დოკუმენტის შეთავაზებას პარტიებისთვის, სადაც გაწერილი იქნება ყველა მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება მიიჩნევს აქტუალურად და პარტიებმა უნდა დააფიქსირონ საკუთარი ხედვები ამ თემებთან დაკავშირებით. აქტივობის მიზანია მოხდეს საზოგადოების ინფორმირება თუ როგორია პოლიტიკური პარტიების ხედვები კონკრეტული საკითხებთან მიმართებით. ჩარჩო დოკუმენტში აქცენტი გაკეთდება როგორც 9 დათქმით გათვალისწინებულ საკითხებზე, ისე სექტორულ მიმართულებებზე. შესაბამისად, პლატფორმის თითოეული სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ის კონკრეტული საკითხები და თემები, რომელზეც პარტიების პოზიციების დაფიქსირება წინასაარჩევნო პროგრამულ დოკუმენტში იქნება მნიშვნელოვანი.

საკითხზე მსჯელობის შედეგად გადაწყდა, რომ თანათავმჯდომარე შეიმუშავებს ფორმას, რომელის მიხედვითაც თითოეული სამუშო ჯგუფი წარმოადგენს საკუთარ თემატიკებს. აქცენტი გაკეთდება ევროკომისიის დასკვნაზე.

ინიციატივა:

შეხვედრაზე, იულია ხარაშვილმა დასვა საკითხი, რომელიც უკავშირდება ქართული ოცნების მიერ დაანონსებულ კანონპროექტს „ფსევდო-ლიბერალური ღირებულებების პროპაგანდის შეზღუდვასთან დაკავშირებით“. პლატფორმის წევრეისთვის მნიშვნელოვანი იყო საბჭოს და თანათავმჯდომარეს დაეფიქსირებინათ თუ რა სახით აპირებენ გამოეხმაურონ ამ ფაქტს. თანათავმჯდომარემ აღნიშნა, რომ თავდაპირველად აუცილებლად უნდა მომზადდეს განცხადება აღნიშნულ საკითზე. მისი პოზიციაა, რომ არ შეიძლება მსგავსი შინაარსის კანონპროექტის ინიცირება, ეწინააღდეგება საქართველოს კონსტიტუციას.
საბჭო აღნიშნულ საკითხზე დეტალურ მსჯელობას გამართავს მომდევნო შეხვედრებზე.

ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის შეხვედრა.

საბჭოს შეხვედრას შემოუერთდა კახა გოგოლაშვილი, რომელიც ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის თანათავმჯდომარეა. დეკემბერში ჩატარებული არჩევნების შედეგად ჩამოყალიბდა ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის წევრთა ახალი შემადგენლობა. იმისათვის რომ მოხდეს თანათავმჯდმორის არჩევნების ჩატარება, აუცილებელია ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის წევრთა მოწვევა. მოქმედმა თანათავმჯდომარემ, კახა გოგოლაშვილმა, მარტის ბოლოსთვის დაანონსა ევროკავშირი-საქართველოს პლატფორმის შეხვედრა. დამატებითი ტექნიკური საკითხების მოსაწესრიგებლად იგი სამდივნოს დაუკავშირდება.

9 დათქმის შესრულების საკითხზე მსჯელობა და დოკუმენტების მომზადება
პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მიერ მომზადდა და პარლამენტში დარეგისტრირდა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც სრულად შეესაბამება და ასახავს ვენეციის კომისიისა და ეუთო/ოდირის რეკომენდაციებს. აღნიშნული საკანონმდებლო წინადადების პრეზენტაცია და განხილვა გაიმართა საქართველოს პარლამენტში, სამუშაო შეხვედრაზე.
საკითხთან დაკავშირებით დეტალურად ისაუბრეს კანონპროექტის ავტორებმა: ლაშა ტუღუშმა და ეკა ციმაკურიძემ. ევროკავშირის 9 ნაბიჯის შესრულებასთან დაკავშირებით, სასამართლო სისტემის რეფორმის საკითხზე მსჯელობა მხარეთა შორის არგუმენტირებული დისკუსიის ფორმატით მიმდინარეობდა. სამუშაო შეხვედრაზე განხილული საკანონმდებლო წინადადების ავტორები: ლაშა ტუღუში, ეკა ციმაკურიძე, ვახტანგ ხმალაძე. დისკუსიაში პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.
დისკუსიის მთავარ საგანს წარმოადგენდა „ვეტინგი“.
კანონპროექტის ავტორმება ისუბრეს იმ ნეგატიურ კამპანიაზე, რომელიც სამუშო შეხვედრის შემდეგ დაიწყო მმართველი პარტიის მაღალი თანამდებობის პირებისა და ზოგიერთი მედიასაშუალებების მიერ.
ავტორები მიიჩნევენ, რომ სამუშაო ფორმატი, რომელიც შინაარსობრივი დისკუსიის საშუალებას იძლევა არის ძალიან მნიშვნელოვანი და დადებითად აფასებენ რეფორმების

შესახებ პარლამენტში გამართულ შინაარსობრივ განხილვებს, თუმცა, ევროკომისიის მიერ წარმოდგენილი 9 დათქმა საჭიროებს უფრო ფართო და სიღრმისეულ მსჯელობას, ასევე მნიშვნელოვანია, რომ რეფორმებზე მსჯელობის პროცესი წარიმართოს დეზინფორმაციის გავრცელების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების დისკრედიტაციის გარეშე.
წევრთა დეტალური ინფორმირებისთვის, კანონპროექტის დეტალური განხილვა გაიმართება პლატფორმის წევრებთან.

პლატფორმის განცხადებაზე მსჯელობა სამოქალაქო სექტორთან დაკავშირებით.
საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იმ ნეგატიურ კამპანიაზე, რომელიც მიმდინარეობს სხვადასხვა მედიასაშუალებებით იმ საკანონმდებლო ინიციატივაზე რომელიც პლატფორმის წევრების მიერ იყო დაინიცირებული და განხილული პარლამენტში, საბჭო შეიმუშავებს და მიიღებს განცხადებას პლატფორმის სახელით.

ინიციატივა:
თანათავმჯდომარის ინიციატივაა, რომ შეიქმნას საკონსულტაციო საბჭოები, რომელიც დაკომპლექტდება დარგის სპეციალისტებითა და პროფესორებით. მიზანია, რომ სხვადასხვა თემატური საკითხები იყოს განხილული მათი მონაწილეობით. განცახდების სამუშაო ვერსიას შეიმუშავებენ კანონპროექტის ავტორები და შესთავაზებენ საკოორდინაციო საბჭოს.

ინიციატივა:
იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ წესდების სამუშაო ჯგუფმა უკვე დაიწყო ფუნქციონირება, სამუშაო პროცესის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვანია რომ დასრულდეს კომისიის ფორმულირების საკითხი. ამ წინადადებით საბჭოს მიმართა ვახტანგ ზარქუამ. თანათავმჯდომარემ განმარტა, რომ პროცესის შეუფერხებელი მუშაობისთვის წესდების ჯგუფში გაწევრიანების საკითხი უნდა დაიხუროს. ასევე, წესდების ჯგუფის მუშაობა იქნება აბსოლიტურად დამოუკიდებელი საკოორდინაციო საბჭოს ჩარევისგან. შესაბამისად, კომისიის მიერ მომზადეული ცვლილებების პროექტი წარედგინება პლატფორმას.

ორსაათიანი მსჯელობის შემდეგ შეხვედრა დასრულდა
შეხვედრის მდივანი: ქეთევან ჭურაძე